თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2016 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე, განახორციელა სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა; საქონლის შესყიდვა, მომსახურებისშესყიდვა და სამუშაოების შესრულების შესყიდვა. შესყიდვების განსახორციელებლად შესაბამისი განყოფილების მიერ მომზადებულია 230 (ორასოცდათი) ხელშეკრულების პროექტი, რომლებიც მუნიციპალიტეტის გამგეობამ,სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვ(ებ)ის განსახორციელებლადგააფორმა მიმწოდებლებთან და მისი ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 3 335 802.78 (სამი მილიონ სამას ოცდათხუთმეტი ათას რვაას ორი ლარი და სამოცდათვრამეტი თეთრი) ლარს. .

მათშორის 64 ხელშეკრულება არის გაფორმებული სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით.სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 685310 (ექვსას ოთხმოცდახუთი ათას სამას ათი) ლარიდან,რომლითაც უნდა განხორციელებულიყო 204 პროექტი, 202 პროექტის შესყიდვის განხორციელება დაკმაყოფილდა სრულად ხოლო 2 პროექტის შესყიდვის განხორციელება დაკმაყოფლიდა ნაწილობრივ გამომდინარე იქედან რომ ორი პროექტის შეთანხმება ვერ მოხერხდა მთავრობასთან.სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხარებული ტენდერების ჩატარების შედეგად დარჩენილი ეკონომიის 62 710 (სამოცდაორი ათას შვიდას ათი) ლარის ხარჯზე,მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით დამატებული იქნა 15 პროექტი რომლიდანაც შესრულდა 8 პროექტზე სამუშაოების შესრულების შესყიდვის განხორციელება ხოლო 7 პროექტზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერები არ შედგა და შესაბამისად ვერ განხორციელდააღნიშნულ ობიექტებზე სამუშაოების შესრულების შესყიდვა. ჯამში სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან, სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა და შესაბამისი ხელშეკრულებები გაფორმდა 653840 ლარზე დარჩენილი 31470 (ოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდაათი) ლარი სხვა ნარჩენ თანხეთან ერთად ნაშთის სახით გადმოვიდა 2017 წლის ბიუჯეტში.

სტიქიის შედეგად მოყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლადგაფორმებულია 8 (რვა) ხელშეკრულება და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N1533 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 204900 (ორას ოთხიათას ცხრაასი) ლარიდან მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებული ტენდერების ჩატარების შედეგად ჯამში 42 პროექტზეჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა189005.58 (ასოთხმოცდაცხრაათას ხუთი ლარი და ორმოცდათვრამეტი თეთრი)ლარი.(მათშორის ტენდერების ჩატარების შედეგად დარჩენილი ეკონომიით, დამატებით განხორციელდა 1 (ერთი) 12900 (თორმეტიათას ცხრაასი) ლარიანი პროექტის შესყიდვა).

მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული ინფრასრტუქტურული პროექტებისგანსახორციელებლად, საქართველოს მთავრობის N175 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2364578 (ორი მილიონ სამას სამოცდაოთხი ათას ხუთას სამოცდათვრამეტი) ლარი რომლის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო 7 (შვიდი) პროექტის სახელმწიფო შესყიდვა. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერგამოცხადებული ელექტრონული ტენდერების ჩატარების შედეგად აღნიშნული პროექტების შესრულებაზე გაფორმებული იქნა 7 (შვიდი) ხელშეკრულება და ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 2036988 (ორი მილიონ ოცდატექვსმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდარვა) ლარი.მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ძირითადი თანხიდან ეკონომია დარჩა 327590 (სამას ოცდაშვიადიათას ხუთას ოთხმოცდაათი) ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ,მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებითსახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა ადგილობრივი პროექტებზესამუშაოების შესრულებისშესყიდვაზე და მუნიციპალიტეტისათვის საჭირო სხვადასხვა საქონლის და მომსახურებების შესყიდვაზე. აღნიშნული შესყიდვის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის გამგეობამ სხვადასხვა მიმწოდებლებთან გააფორმა 162 ხელშეკრულება რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 455969.20 (ოთხას ორმოცდათხუთმეტი ათას ცხრაას სამოცდაცხრა ლარი და ოცი თეთრი) ლარს.

თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ნაწილი განხორციელებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის გამოცხადების/ჩატარების საშუალებით,სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაო(ები)ს შესრულების შესყიდვისათვის, მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი განყოფილების მიერ გამოცხადებულია 161(ასსამოცდაერთი) ერთეტაპიანი გამარტივებული და ელექტრონული ტენდერი. ყველა შემდგარ ტენდერზე განყოფილების მიერ განხილულია პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციები***(წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციები ასევე განიხილა სატენდერო კომისიის წევრებმა)*** და განხილვის შედეგად მომზადებულია შესაბამისი ინტერესთა კონფლიქტები, ოქმები და წერილები რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად ატვირთულია მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე.

შესაბამისიგანყოფილების მიერ, მუნიციპალიტეტის სახელით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში იტვირთებაhttp://www.procurement.gov.ge/სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ყველა ატვირთულ ხელშეკრულებაზე, ასევე იტვირთება ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივად გადარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კერძოდ, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, ინსპექტირების/კონტროლის ჯგუფის დასკვნა, ურთიერთშეთანხმების აქტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეტაპობრივად ხდებოდა შესყიდული საქონლის და გაწეული მომსახურეობის შესახებ განაწილების უწყისების წარმოება და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება.სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას ყოველთვიურად წარვუდგენდით ანგარიშს **ctd.spa.ge**სისტემის საშუალებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდებოდა საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ყველა იმ ბრძანების შესაბამისად რომლებიც უშუალოდ არეგულირებენ სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელებას.ასევე ვითვალისწინებთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

განყოფილების უფროსი ზურაბ იჩქიტიძე